საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველოს მთავარი პროკურატურა

Ministry of Justice of Georgia

Office of the Chief Prosecutor of Georgia

KA011336966913715

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge


**№ 13/38814** **19 / ივნისი / 2015 წ.**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების
ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ გიორგი კლდიაშვილს
ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქუჩა N3

ბატონო გიორგი,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი NOPD03/15-239 და NOPD06/15-006 განცხადებები რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პროკურატურაში შემოვიდა 52 530 საჩივარი განცხადება, რომლებშიც მოქალაქეები საჯარო მოხელეთა მხრიდან მათი ან მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მიუთითებდნენ, მათ შორის 10 379 განცხადება გამოძიების დაწყების მოთხოვნით, მითითებული განცხადებებიდან 3495 შეეხება სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, 697 ქონების უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტებს, ხოლო 6187 სხვა კატეგორიას.

ამასთან გაცნობებთ, რომ 2015 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება 123 სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც მოიცავს მითითებული საჩივარი განცხადებების კატეგორიასაც. შემაჯამებელი გადაწყვეტილება ამ დროისთვის მიღებულ იქნა პროკურატურის ორი თანამშრომლის მიმართ.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი